ხუთშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 21 (4) № 207

ფელიეტონი მესამე

ხუთშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 21 (4) № 207

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** ვინაობა და მისამართი. **უპირობოთ** გამოგზავნილი მასალა **უფასოთ** ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და **რედაქცია** არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ **არ** კისრულობს.

რედაქცია დიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. **სარედაქციო** საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება **შეიძლება** ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლეგამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო** განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის** გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი **ფული** და **წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. **საჩქარო** განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. **კონტორა** დიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

ა. ჩხენკელმა დემოკრატიულ თათბირზე განაცხადა: მწამდა, რომ რუსეთს რევოლუცია იხსნიდა, მაგრამ ეხლა ეს რწმენა ირყევა. რუსეთის რევოლუცია რომ დამარცხდეს ქართველები თავრიზის როლში გამოვლენო.

რუსის საღდათები აცხადებენ: მიწის დანაწილებამდე იარაღს არ დავყრითო.

გლეხთა სექციის წარმომადგენელმა განაცხადა: **ყველაზე** კარგი მთავრობის ბოლშევიკების ხელში **გადაცემა** იქნებაო.

დეპუტატთა საბჭოს უმრავლესობა ერთფეროვან დემოკრატიულ მთავრობის მომხრეა.

ერთა ყრილობამ დაადგინა, რომ რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად გამოცხადდეს.

დროებით მთავრობის ბრძანებით ამ მოკლე ხანში ხნიერ ჯარისკაცებს დაითხოვენ. ღვინობითვის **პირველისთვის** 1895 და 1896 **წლებში** გაწვეულებს **გაანთავისუფლებენ**. მათ სახლებში დასაბრუნებლად **რკინის** გზები ემზადებიან.

წერილები

ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ. ა. ჩხენკელის სიტყვა.

რ. ᲘᲜᲒᲘᲚᲝ. საქართველოს ეკლესია და სოც.-დემოკრატები.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ. „კოალიცია საქართველოში“.

Ბ. ᲫᲣᲠᲦᲘᲐᲜᲘ. საქართველოს ტყეები და მათი მომავალი.

ᲕᲚ. ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ქართული საეკლესიო გალობა.

Ლ. Დ. წერილი ბათომიდან

გაზეთ „საქართველოს“ კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,

გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.

წ�ური ხელის მოწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთად, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოეხსნება. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მოწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს გაანდგილოს ნომრის აღნიშვნას.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ

(თბილისი, დორეს-მელიქოვის ქუჩა № 5)

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის საწარმოველო-საკაცრიელო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—4

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

სახ. სახ. არხ. ქართ. წარმ. მმართ. წრე. ◆ პარასკევს, 22 ენკენისთვეს

წარმოდგენილი იქნება:

ᲜᲐᲛᲣᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

დრ. 4 მოქმ. შირვანზადესი თარგ. კარაპეტიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. მარგველაშვილი, ა. ქიქოძე, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ. ბ. ნ. გოცირიძე, მ. სვანელი, ვ. ნინიძე, ა. მეტრეველი, ი. მინდიაშვილი და ნ. ჭინკვეტაძე.

ადგილების ფასი 1 მ. 9 კ.-დან 20 კ.-დე.

დასაწყისი ხალამოს 8 საათზე, ახალი დროით.

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს.-მდე.

წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეწვევა თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. — შემდეგი წარმოდგენა 27 ენკენისთვეს.

რეჟისორი კ. **ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.** მისი თანაშემწე ალ. **ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ.**

(2—772—1) ქ. არ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

ᲗᲑᲘᲚ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ (ᲕᲔᲠᲐᲖᲔ)

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲥᲐᲚ-ᲕᲐᲟᲗᲐ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘᲐ.

თხოვნები მიიღება ყოველ დღე. მისაღები გამოცდები სწარმოებს სალამოობით, I და II განყოფილებაში. სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს.

დამაარსებელნი მასწავლებელთა ამხანაგობა.

3—774—1

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐ

ᲔᲠᲗᲘ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ.

3—771—2

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დებულობს ავადმყოფებს ხალ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის ცრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი).

22—748—თ.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Დ. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—24)

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

მოსე ანთიმოსის მე

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

შემფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დღის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘ

Კ. Ს. ᲤᲝᲜ-ᲘᲠᲗᲔᲚᲘᲡᲐ

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დღისით და $4^1/_2$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Д. В. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—18

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ш. Л. ᲨᲐᲠᲜᲐᲫᲔ

[illegible]

(თ—702—)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ

პარასკევს, 22 სექტემბერს, საზამთრო შენობაში წარმოდგენილი იქნება

ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲛᲣᲮᲐ

4 მოქ. ვალ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

წარმოდგენა ყველასათვის ხელმისაწვდომია.

თეატრი კლუბისაგან განცალკევებულია; **წარმოდგენაზე დამსწრე კლუბში** შესასვლელს ცალკე არ იხდის.

2—773—1 **რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 21.

ა. ჩხენკელის სიტყვა

ოფიციალურმა საგენტომაც და კერძო დეპეშებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ სიტყვას, რომელიც საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელმა ბატ. აკაკი ჩხენკელმა წარმოსთქვა პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირში. ეს არ არის გასაკვირალი. ქართველ დეპუტატს საკმაოდ ხანგრძლივი პოლიტიკური სკოლა აქვს განვლილი. ამას გარდა ის ლაპარაკობს მთელი კულტურისანი ერის სახელით, რომელიც დღეს მეთაურობს დემოკრატიულ რუსეთს. ამიტომ მის სიტყვას განსაკუთრებული ფასი ეძლევა მრავალ რიცხოვანი ორატორების ერთფეროვან და შაბლონურ ფრაზების ჩარჩოში.

რა სთქვა დეპუტატმა ჩხენკელმა? უწინარეს ყოვლისა მან კეისარისა კეისარს მიუძღვნა და ვალი მოიხადა ინტერნაციონალური მგრძნობიარობის წინაშე. რაინდულის თავაზიანობით, რაიცა საუცხოოდ ამკობს ქართველ დეპუტატის ინტერნაციონალისტურს რწმენას, ბატ. აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა რომ ქართველი ერი მზად არის დიდი რუსეთის რევოლიუციას ემსახუროს. ქართველებმა ეროვნული საკითხის გადაჭრა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე გადასდეს... ქართველ ხალხში ძნელია ეროვნული გრძნობის დ საერთო რუსული გრძნობის გარჩევა. სასურველია რომ არც თქვენი გრძნობა განსხვავდებოდეს ჩვენისაგან და სხვა და სხვა.

ეს სიტყვები, რასაკვირველი, მოსალოდნელი იყო ქართველი სოციალდემოკრატისაგან, რომელიც, თუ არ ვსცდებით, ახალგაზრდობიდანვე შეჩვეულია მარქსისტულად აზროვნებას და მხოლოდ ორიოდე თვის წინად შევიდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. ჩვენთვის კერძოდ უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანია დეპუტატ ჩხენკელის სიტყვის მეორე ნაწილი, სადაც ისეთი ნოტები გაისმის, რომელთაც სრულიადაც ჩვეულნი არა ვართ ქართველი სოციალდემოკრატიის ხოროში.

რას გვაყვედრიან ქართველ ნაციონალისტებს გამუდმებით ქართველი სოციალდემოკრატები? იმას რომ შეურყეველი და განუსაზღვრელი ნდობა არა გვაქვს რუსის დემოკრატიისა. ჩვენ არ გვწამს რომ ერთს მშვენიერს დღეს ჩრდილოელი მეზობელი მოვა და კეთილ სამარიტელივით მალამოს დასდებს ყველა ჩვენ ჭრილობებს.

ჩვენ ოდნავ სკეპტიკოსები ვართ, ეს მართალია. და ახლა, რაცა დეპუტატი ჩხენკელის სიტყვას ვკითხულობთ, გულწრფელად გვიხარიან, რომ ჩვენი სკეპტიციზმი გადასდებია ადამიანს, რომლის ბუნება აქამდე უფრო უკრიტიკო რწმენით იყო გამსჭვალული.—მე წმამდა, რომ რევოლუცია იხსნიდა ამ ქვეყანას, მაგრამ ბოლო დროს ეს რწმენა შემერყო, ამბობს ქართველი სოციალ-დემოკრატი: მეშინდება შიში, რომ არ დავკარგოთ მიღწეული დიდებულებანი. თუ ბედმა დამარცხება გვარგუნა, შეიძლება ქართველებმა, რომელნიც არასოდეს სვბარატიულად არ გამოსულან, იფიქრონ ერთი სვბარატიული ნაბიჯის გადადგმა ისევე, როგორც თავრიზმა გადადგა სპარსეთის რევოლიუციაშიო.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბატ. აკაკი ჩხენკელს იმაში, რომ ქართველობისათვის რევოლიუციის ინტერესი უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე სახელმწიფო მთლიანობის იდეა. ქართველი ერის ხსნა დემოკრატიული წესწყობილების დამყარებაშია. და თუ ჩვენ მეზობლებსა და თანამგზავრებს თავისუფლების დასაცავად ილაჯი არ შესწევთ, ხოლო რევოლიუციური შემოქმედებისათვის ნიჭი აკლიათ, ემჯობესია ამ თავითვე ვიბრძოლოთ საკუთარი გზების ძიებაზე. თავლწინ ვაქონიოთ თვით ბატ. ჩხენკელს მიეცა ნაჩვენები ნიმუში. ცნობილია, რომ ადერბეიჯანის დედა-ქალაქმა ცოტა არ იყოს დაიგვიანა და ეს დაგვიანება სასტიკი დამარცხებით გამოსწორდა.

საქართველოს ეკლესია და სოციალდემოკრატები

...ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

სრულიადაც ნუ იფიქრებთ, რომ მგოსანი ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოთ საქმის ვითარების სჯა-ბაასის საშუალებით გამორკვევას: ჩემი დასტური არ შეადგენს ბისთვის იფეილს, რადგანაც პოეტი განყენებულად და მეტაფიზიკურად არ აზროვნებს, არამედ საგანს კონკრეტულ პირობებში აყენებს და ამისდა მიხედვით რჩევას იძლევა—ზოგჯერ თქმისას და ზოგჯერ-კი არა თქმისას.. დიდებული მგოსანი რომ დღეს ხორც-შესხმულიყო და ოთხ-წელიან საარჩევნო უფლების წყალობით მოჰყოლოდა ხმოსანთა რიცხვში და დასწრებოდა თბილისის თვითმართველობის 18 სექტემბრის სხდომას, უეჭველად უარჩევდა მენშევიკების წარმომადგენელ არსენიძეს არა თქმას, მით უმეტეს, რომ მისი აზრი წინა დღეს სხვა და სხვა ვარიაციებით „ერთობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა და აშკარად გვამცნობდა სოციალ-დემოკრატების საერთო შეხედულებას სარწმუნოებრივ საკითხში.

თვითმართველობას სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება უნდა აინტერესებდეს: თუმცა მისი პირდაპირი დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ შესაფერად აწარმოვოს მუნიციპალური საქმეები, მაგრამ პოლიტიკა საზოგადოთ ისე მჭიდროთ გადახლართულია ცხოვრების ყოველ-გვარ გამოსახულებასთან, რომ თვითმართველობას ხშირად უნებლიეთ უხდება პოლიტიკურად გამოვიდეს იქ, სადაც პირველი შეხედვით მას ადგილი არაკი უნდა ჰქონდეს.

ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა და ჩვენ სულაც არა ვართ მოწადინებულნი შევზღუდოთ არსენიძეების პოლიტიკური გატაცება, მაგრამ დიდათა ვეჭვობთ, რომ 18 სექტემბრის მგნშევიკების „პოლიტიკურ აქტს“ ჰქონდეს რამე ღირებულობა იმავე პოლიტიკის თვალსაზრისით.

პოლიტიკას უტაქტიკოდ ჯერ ვიგულისხმებთ, მით უმეტეს პასუხისმგებელ პარტიის პოლიტიკას. რის მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ მენშევიკ სოციალდემოკრატები, როდესაც ქალაქის საბჭოში გამოეხმაურნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურად გამოცხადებას და მთელი ერის რწმუნებულთა მიერ პატრიარქ-კათალიკოზის არჩევას? რაშელ დიდ პოლიტიკას ეშსახურებოდნენ, როდესაც ინტერნაციონალურ და ინტერპარტიულ კრებულის წინაშე ფარჩილები გაუხსნეს სოციალდემოკრატიულ პროგრამის მე-13 პარაგრაფს და ვრცელი რეზოლუციით დაბეჭდეს თავისი დამოკიდებულება ეკლესიისადმი? მართალი იყო ხმოსანი, რომელმაც ამ გამოსვლას უწოდა შეუწყნარებელი და შეურაცხყოფელი! აკი კიდევაც თავაზიანობამ ნება არ მისცა სხვა ერთა წარმომადგენლებს მონაწილეობა მიეღოთ ფრიად „დელიკატურ“ საკითხში და ერთხმად მოითხოვეს მისი უკან წაღება.

რაშია საქმე? ნუ თუ ქართველ ხალხს ნება არ შეწევდა დიდ გარდაქმნის ჟამს თავისი ეკლესია განთავისუფლებინა 100 წლის ბონობისაგან? ნუ თუ ჩვენი ერისათვის სავალდებულოა ცხოვრების ყველა მხარე შეუფარდოს მენშევიკების რეცეპტებს? ყველასათვის, ვინც კი წინასწარ შეითხუზულ აზრით არ არი დაბრმავებული, ცხადია, რომ ამ დღეებში დახურული საქართველოს საეკლესიო კრება წარმოდგენილი იყო ხმადვილ დემოკრატიული არჩევნების მიხედვით. მთელმა ერმა განუცხადა პოლიტიკური რწმენისა და სოციალური განსხვავებისა ეხურველ მონაწილეობა მიიღო საეკლესიო კრების წევრთა არჩევნებში და ეს გარემოება გვაძლევდა უფლებას გაბედულად გვეთქვა, რომ კრება გამოხატავდა ქართველი ერის ნებისყოფას. „ერთობას“ არ მოსწონს ჩვენი აზრი, კრების დადგენილებებში იგი ხედავს ეხლოდ კლერ კალერ იდეების გამარჯვებას; მე-49 ნომერში გაზეთი პირდაპირ აცხადებს, რომ ეკლესიის ავტოკეფალური მოწყობა საძველეულოების და მათ ამყოლ-დამყოლთა საქმეაო, ხოლო ქართველი ხალხი, ფანატიკოსთა დარწმუნებულია, რომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა არსებითად და პლატონების ბრძანებლობის ნაცვლად მოგვევლინა კირიონ-ლეონიდეების ბატონობაო, რაც დემოკრატიისათვის სულ-ერთიაო!

ასე პრიმიტიულად გსმენს ეროვნულ-რიცხვიან პარტიის ორგანოს ავტოკეფალიის დაარსება. იმ ხალხს, რომელიც ერის შემადგენლობას იგულისხმებს, როგორც ყველეფელთა და გაყვლეფილთა ერთგვარ და ამათ შორის ბრძოლის გარეშე ვერ წარმოუდგენია ერის ცხოვრება, ძალი, რასაკვირველია, დაუტკიცოთ ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლად მოწყობის ნიშვნელობა. ეკლესია მუდამ მჩაგვრელთა მხარეს იდგაო და, მაშასადამე, ამასვე უნდა მოველოდეთ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიისგანაცაო,—ასეთ მარტივ სილოგიზმს ეძღვნებიან „ერთობის“ ანონიმები.

შემდგომი მიწყობა და მოწესრიგება საქართველოს ეკლესიისა, ყველასათვის ცხადია, აუცილებელი იქნება ქართველი ხალხის ყველა ნაწილის შეთანხმებულ თანამშრომლობაზე. უეჭველია საქართველოს ავტონომიური მართველობა გამონახავს სათანადო გზას, რომ ეკლესიის გარეგანი წყობილება და ფუნქციები შეთანხმებული იყოს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებასთან, მაგრამ დღეს-დღეობით არა გვაონია საჭირო ყოფილიყოს შორეულ მომავალზე ასე გარკვეულად და შეურიგებლად ლაპარაკი. რა აუცილებელია დეკლარატიული გამოსვლა წმინდა პარტიული ხასიათისა ნარევ დაწესებულებაში, როდესაც კარს გვადგია საერთო სახელმწიფოებრივი კრიზისი, როდესაც ჩვენი სამშობლოს გასაჭირი მოგვიხმობს შეგრთებული ძალღონით გამოვიდეთ განცდის ჟამს და როდესაც ჩვენი ენერგია და შემოქმედებითი მუშაობა სულ სხვა ხმრისკენ უნდა იყოს მიქცეული...

განთავისუფლებული საქართველოს ეკლესიას ყველგან სიხარულით შეხვდნენ და სალამს უძღვნიან, გარდა იმ დაუძინებელ მტრებისა, რომელთაც ასი წლის განმავლობაში ცარცვეს ჩვენი ეკლესია.

არა გვგონია წუთიერი სიამე არ იგრძნონ მათ ჩვენი ღრმა პოლიტიკოსების გამოსვლით.

რ. ინგილო.

ქართული პრესა

კოალიცია საქართველოში

გაზეთი „სახალხო საქმე“ სწერს:

დღევანდელი ობიექტიური მდგომარეობა რუსეთისა ისეთია, რომ იქ არ შეიძლება კოალიციის პრინციპი სრულიად განხორციელდეს. საქართველოში კი ნასახიც არ არის ასეთი მდგომარეობის. ამ ობიექტიურ გარემოებას ისიც უნდა მიუმატოთ, რომ რუსეთის თანამედროვე ომში დამარცხება ოდნავადაც ვერ უშლის საქართველოს შეძლებულ წრეებს საიმედო პრესპექტივებს და ისინი ისევ ეროვნულ ორიენტაციებით და ერის თვითგამორკვევის პრინციპის მოსარჩლენი ხდებიან. შიში რუსეთის მომავლისა აფრთხობს ჩვენს ბურჟუაზიულ და ფეოდალურ წრეებს, როდესაც ჯერ კიდევ შეიძლება საერთო საქმის საერთოდვე გაკეთება. ობიექტიური და სუბიექტიური მომენტები სპობენ რუსეთისათვის კოალიციის შესაძლებლობას! სწორედ ეს პირობები ჰგულისხმობენ კოალიციას საქართველოში. ეს გარემოება შეგნებით უნდა გამოვიყენოთ, გავაფრთოვოთ“...

ოდი და ზავი

დეკეშები

რუსეთის ფრონტი

პეტროგრადი. ენკენ. 19. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით სოფ. კრონბერგისა და სპიტლის რაიონში რკინის გზის სამხრეთით 1—1½ ვერსით წინ წავიწიეთ.

დასავლეთის, სამხრეთ დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. სროლა.

კავკასიის ფრონტი. არსებითი არა არის-რა.

ზავის გარშემო

გერმანეთი და ზავი

სტოკჰოლმი. ენკენისთვის 17. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ საგარეო პოლიტიკაზე იქონია მსჯელობა. კანცლერმა განაცხადა. ჩვენ მიერ პაპის ნოტაზე გაცემულ პასუხში ნათლადაა აღნიშნული ომის მიზნები. ის ხმები, ვითომც გერმანეთი მზად იყოს დაპყრობილ ადგილების დაცლაზე—სრული სიცრუეა, გერმანეთმა უფლება დაირჩინა, სამშვიდობო მოლაპარაკების დროსაც თავისუფლად იმოქმედოს. ეს ბილეთესაც შეეხება.

ზავი რუსეთის ხარჯზე

პეტროგრადი. ენკენ. 18. რუსეთის პრესა შიშს გამოსთქვამდა, რომ მოკავშირეთ, ჩვენს დროებით უძლურების გამო, არ მიეღოთ ზავი რუსეთის ხარჯზე. მცოდნე წყაროდან იუწყებიან: დიდბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალეთის მთავრობანი კატეგორიულად უარჰყოფენ იმ ხმებს, ვითომც მოკავშირეთ განზრახული ჰქონდეთ ჩვენი სისუსტით სარგებლობა. ინგლისის ელჩმა განაცხადა, რომ ინგლისი ასეთ პოლიტიკას არასოდეს არ დაადგებაო. საფრანგეთის ელჩმა აცნობა დროებით მთავრობას, რომ ამ ცოტა ხანში გერმანეთის ერთი მეტად გავლენიანი დიპლომატიური პირი შეეცადა კავშირი დაეჭირა საფრანგეთის მოღვაწეებთან იმ მოსაზრებით, რომ საფრანგეთისთვის სხვა და სხვა საინტერესო საკითხები განეხილათ, მაგრამ გერმანელთა ცდას ზიზღით განუცხადეს უარი. იტალეთის ელჩმა, თავის მხრივ განაცხადა, რომ იტალეთი მტკიცედ განაგრძობს საერთო საქმეს და ყოველთვის წინააღმდეგი იქნება ისეთ ზავზე, რომელიც რუსეთის ინტერესებს დაჰჩაგრავს.

ავსტრია და ზავის საკითხი

სტოკჰოლმი. ენკენ. 16. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ იმპერიის კანცლერის შემდეგ რაიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში გამოვიდა საგარეო საქმეთა მდივანი **კიულმანი,** რომელიც შეეხო რომის პაპის სიზავე ნოტას. ორატორმა აღნიშნა, რანაირი შედეგი უნდა მოჰყვეს პაპის სიზავე ნაბიჯს, იგი ურყეველ ფურცლად დარჩება პაპის დიპლომატიის ისტორიაში. კიულმანი უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომც გერმანეთის მთავრობის და ხალხის შუა სხვადასხვა აზრი ტრიალებდეს ზავის შესახებ. ესაო,—სთქვა ორატორმა,—მტრის მეცადინეობის შედეგია, რომ მთავრობისა და ხალხის შუა განხეთქილება ჩამოაგდოს, მაგრამ ცდა იგი ამაოდ დარჩება, ვინაიდან გერმანეთის მთავრობა პოლიტიკაში მთელს თავის ძალღონეს ხალხისა და პარლამენტის შეთანხმებულს სურვილში იკრებს. ვიდრე ჩვენი ტრეები იმ აზრისა არიან, ვითომც გერმანეთი მოუძლურდა და, მაშასადამე, შეუძლიანთ ვითომც ზავის ს

რობასთან მაჰმადიანთა საქმეების სეკრეტარიატის დაარსებას. ცალიკო

ლად ქალაქის მე-5, მე-6 და მე-7 უბნის მცხოვრებნი, ხალხმა ქალაქის მოურავთან დელეგაცია შეგზავნა, რომელმაც შემდეგი განაცხადა: უკანასკნელ დღეებში ქალაქის მილიციონერები და თოფიანი სალდათები სახლებს ჩხრეკენ ვითომ იმ მიზნით, რომ დამალული საქონელი იპოვონ. ვისი ბრძანებით არის ეს ჩხრეკა, არა ვიცით რა, მხოლოდ ესკია, რომ ჩხრეკავენ ყოველ წეს-რიგს გადადიან, ისე რომ ჩხრეკამ ძარცვა-გლეჯის ხასიათი მიიღო. ზოგან შეიძლება კიდევაც იპოვნეს დამალული საქონელი, მაგრამ ჩხრეკავენი ამას არ სჯერდებიან; დამალულ საქონელთან ერთად სახლის საკუთრებასაც თან აყოლებენ, როგორც, მაგალითად, ჩაი-შაქარს, ყველს, ოქრო-ვერცხლს, ტანსაცმელს და სხ. ერთი სიტყვით ჩჩხრეკავენი სახლიდან ხელცარიელი არ გადიან. ქალაქის მოურავი ნ. ელიავა გამოვიდა ივანზე და ხალხი დაამშვიდა. ბ-ნმა მოურავმა განაცხადა, რომ ეს ჩხრეკა მოახდინა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს წინად არსებულმა ჩჩხრეკავმა კომისიამ. ადნიშნული საბჭოს უკვე ეცნობა ამ უწესო ჩხრეკის შესახებ და საბჭოს განკარგულებით ჩხრეკა შეჩერებულია. ამის შემდეგ ქალაქის მილიცია ისე ვერ მოახდენს ჩხრეკას, თუ ქალაქის გამგეობისაგან არ ექნება ნაბრძანები, ვინაიდან ეს მილიცია ქალაქის თვითმართველობას ექვემდებარება, ხოლო კი მილიციის უფროსს ნაბრძანები აქვს გამოარკვიოს, თუ რა და რა საქონელი და ნივთებია ჩხრეკის დროს წაძოღებული, რომ ყველაფერი პატრონებს დაუბრუნდეს.

ჯარის დემობილიზაცია

კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს სახელმწიფო მინისტრისაგან შემდეგი უწყება მიუღია: „ხმები და ჟურნალ-გაზეთების ცნობები იმის შესახებ, რომ ჯარის ერთი ნაწილი მოიხსნება ფრონტიდან და შინ გაუშვებენ, ჯარებში დიდი მღელვარებას იწვევს. ვცხადებ, რომ მაღე გამოქვეყნებული იქნება თუ ვინ უნდა დაბრუნდეს ბოლოს ყველანი. ეხლა საჭიროდ ვთვლიდ ისა, თუ რა წესებისა უნდა გავუშვათ. მზადდება რკინის გზები, ამასთანავე არსდება ერთგვარი კავშირი მოქალაქისა და ზურგის ჯარის შუა, რათა მოიქმედი არმიიდან და ზურგის ჯარიდან ერთსა და იმავე დროს შესაძლებელი იყოს დაბრუნება. ვფიქრობ, ვინც თავის თავად წასვლა, იგი ჩათვლება დეზერტირად. ასეთებს ისევ უკან დააბრუნებენ და გასასამართლებენ. ჯარის უფროსნაც, ვინც კი გაპარულა და ჩვენის ბრძანების გაწოლადებამდე დაითხოვს ვინ მგს, ხას სასამართლოში მივცემთ და სასტიკად განვიკითხავ, როგორც ახლა მოიხსნა ომიანობის დრო. პირველ ოქტომბრისთვის დასათხოვნად ამზადებენ 95—96 წლებში გაწვეულთ.

სახელმწიფო მინისტრი ვერხოვსკი.

თბილისის სკოლების ნაციონალიზაცია

თბილისის ქალაქის კომიტეტი სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ შემდეგს აუწყებს თბილისის მცხოვრებლებს:—ძველ დროში განხოხულია უმდაბლესი განყოფილებანი საშუალო საწყვლებლების და პირველი კლასების უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლების სადაც სწავლება საშობლო ენაზე იქნება. 2) ძველებულ იქნება ზომები, რომ ინტერნატები თვითეული ეროვნების დაცულ იქნას. 3) თხოვნები ბავშვების მისაღებად ამა თუ იმ განყოფილებაში, სადაც ალნიშნული იქნება ენა, რომელზედაც მშობლებს სურთ ბავშვებს ასწავლონ, მიიღება 1-ელ გვიანობიაში ბ-ნ გუნცაძესთან. 4) თხოვნების მიღება გასტანს 26 ენკენისთვამდე. 5) ზემო თქმული ეხება ბოლოდ იმათ, ვისაც ჯერ თხოვნები არ შეტანიათ. თავიანთ ბავშვების მიღების შესახებ ამა თუ იმ სასწავლებელში. მათ შესახებ, რომელნიც უკვე ირიცხებიან ამა თუ იმ სასწავლებელში მიღებულად, მშობლები საგანგებო დადგენილებას მიიღებენ სამოსწავლო მთავრობასთან.

ინდოეთის სალამი რუსეთის მაჰმადიანებს

მოსკოვის მაჰმადიანთა გაზეთ „ილ"-ში დაბეჭდილია დეპეშა, რომელიც რუსეთის მაჰმადიანთა ცენტრალ კომიტეტს მოუვიდა ევროპის ინდოელ ეროვნულ ორგანიზაციების კომიტეტისაგან:

— ჩვენ ინდოელები მადლობას ვუცხადებთ რუსეთის მაჰმადიანობას მათი დაუფალავი, ვაჟკაცური მუშაობის გამო აზიის და აფრიკის ხალხთა სასარგებლოდ. რუსეთის მაჰმადიანობამ დაუფასებელი შრომა გაუწია სერო—ადამიანურ საქმეს, როცა გადადულად წარუდგა თავისუფალ რუსეთის დროებითი მთავრობას და სთხოვა ელიარებია თანასწორ—უფლება აზიის და აფრიკის ერებისა და მათი უფლება თვით-გამორკვევაზე.

ისინი კი, რომელნიც სტოკჰოლმის კონფერენციიდან მოელოდენ ალმოსავლეთ ერების უფლების დაცვას, სასტიკად სცდებოდენ.

315 მილიონი მცხოვრებლები ინდოეთისა, დამონებული და წამებული ინგლისელების მიერ ძველი და ახალი ქვეყნის თვალწინ, ოქრო-ვერცხლში გადაყიდული ხალხი გრძნობს, რომ მას არ ძალუძს დაამსგავროს საქვეყნო იმპერიალიზმად თავისუფლების მიღებით და ყოველი ღონით სცდილობს ერთა დამოუკიდებლობის და თვითგამორკვევის პრინციპის ალიარებას. ყველა ალმოსავლეთ ერთა შეკავშირება და მათი შემოკრეფა და დახმარება რუსეთისადმი, რომელმაც უკუ აგდო იმპერიალიზმი დაჩაგრულს ალმოსავლეთის პოლიტიკურ გამარჯვებას და მის პროგრესს განამტკიცებს. ჩვენ ინდოელები ვუძღვნით სალამს რუსის მაჰმადიანობას, რომელმაც პირველად შესდგა ფეხი თავისუფლების ასპარეზზე.

საქართველოს ტყეები და მათი მოგავალი

(გაგრძელება)

წიფლის და მუხის შემდეგ ჩვენ ტყეებში ხშირად შეგხვდებით რცხილას, რომელიც ბომეტებულ შემოხვევაში შერეულია მუხასთან და წიფელთან. მას უჭირავს 10—12 პროც. რცხილა ძალიან იშვიათად იზრდება სწორ ხეთ, იგი უფრო ხშირად მრუდე, ტოტებიანი და სხვა ხეზედ დაბალია. თუმცა, როგორც ხის მასალა, რცხილა შედარებით არაფც თუ მუხასთან, წიფელზედაც ნაკლებად ფასობს, მაინც ს